ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა

და

შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს

შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა

და

შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს შორის

ქ. გორი ____ მარტი, 2019 წელი

ერთის მხრივ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში „აკადემია"), წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებელის, პოლკოვნიკი მამია ბალახაძის სახით და მეორეს მხრივ შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის გიორგი ამილახვარის სახით (შემდგომში „მხარეები"), ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ მხედველობაში სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ მომავალი თაობებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მიცემის და მათთვის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების მნიშვნელობას, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის მზადყოფნას და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია მხარეებს შორის დამყარდეს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები, რომელიც ხელს შეუწყობს მხარეთა შორის საგანმანათლებლო, კვლევითი, ინოვაციური პროგრამების განვითარებასა და პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლებას.

მუხლი 2.

მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1.მხარეები:

ა) ხელს შეუწყობენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას;

ბ) ხელს შეუწყობენ განათლებისა და მეცნიერების სფეროში გამოცდილების გაზიარებას;

გ) ითანამშრომლებენ ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევებში;

დ) ხელს შეუწყობენ ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას;

ე) ითანამშრომლებენ საჯარო ლექციების, სემინარების, ტრენინგების, კონფერენციების, სიმპოზიუმების და სხვა აქტივობების ჩატარებაში;

ვ) განიხილავენ თანამშრომლობის სხვა ნებისმიერ ფორმებს და მიმართულებებს, რომლებიც არ არის ასახული წინამდებარე მემორანდუმში;

2.2. აკადემია:

ა) უზრუნველყოფს ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობას;

ბ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს საკონფერენციო, სალექციო დარბაზების, სპორტული და კულტურული კომპლექსების და სხვა ინფრასტრუქტურული საშუალებების გამოყოფას;

გ) უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობას;

დ) უზრუნველყოფს ლაბორატორიების და სამხედრო დანიშნულების საშუალებების გამოყენებას;

ე) ხელს შეუწყობს აკადემიურ და კვლევით პროგრამებში სამხედრო თემატიკის განვითარებას;

2.3. უნივერსიტეტი:

ა) უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადინეობებისათვის სასწავლო ლაბორატორიების გამოყენებას;

ბ) უზრუნველყოფს აკადემიური და დამხმარე პერსონალის ჩართულობას აკადემიური პროგრამების პრაქტიკულ სწავლებებში;

გ) უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობას;

დ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მოთხოვნისამებრ აკადემიის მოსამსახურეებისათვის სასწავლო პროგრამების გავლას;

ე) უზრუნველყოფს სამეცნიერო პროგრამულ კონფერენციებში, აგრეთვე სპორტულ, კულტურულ და სხვადასხვა კურიკულუმგარეშე აქტივობებში ჩართულობას.

მუხლი 3.

დამატებითი პირობები

ა) წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები;

ბ) მემორანდუმი უვადოა, ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილებების მიღებამდე. შეთანხმება არ შეიცავს მხარეთა ვალდებულებებს. ის არ წარმოადგენს აუცილებლად შესასრულებელ დოკუმენტს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მასში მოცემული ღონისძიებების განხორციელება დამოკიდებულია თითოეული მხარის ნებაზე, შესაძლებლობაზე და კომპეტენციაზე. მხარეთა შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

გ) მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი	შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი
პოლკოვნიკი მამია ბალახაძე	გიორგი ამილახვარი